



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49240106

თარიღი:10/01/2024

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირინა ჩაკვეტაძის დანიშვნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 ივლისის #36/117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირინა ჩაკვეტაძის დანიშვნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 ივლისის #36/117 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ირინა ჩაკვეტაძე - დანიშნული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 2394 ლარის ოდენობით.“

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.#11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

